ე.პ. ბლავატსკაია

სიბრძნის რელიგია

ელენე პეტრეს ასული ბლავატსკაია (ქალიშვილობის გვარით ფონ ჰანი) დაიბადა 1831 წ. 12 აგვისტოს ეკატერინოსლავში (ამჟამად დნეპროპეტროვსკი). მასში საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის ცნობილ გვართა სისხლია შერეული. მამამისი წარმოშობილი იყო მეკლენბურგის მთავრებისგან ჰან ფონ როტენშტეინ-ჰან. დედის მხრიდან ბებიის დედა იყო შვილიშვილი ფრანგი ჰუგენოტის ბანდრე დიუ პლესისა, რომელიც იძულებული იყო რელიგიური დევნის გამო სამშობლო მიეტოვებინა. 1787 წელს მისი ქალიშვილი თავად პავლე ვასილის ძე დოლგორუკოვზე გათხოვდა, და მათი ქალიშვილი ელენე პეტრეს ასული დოლგორუკაია, ქორწინების შემდეგ ფადეევა, იყო სწორედ ელენე პეტრეს ასული ბლავატსკაიას ალალი ბებია. სწორედ ელენე პეტრეს ასული ფადეევა ზრდიდა თავისი ქალიშვილის ადრე დაობლებულ შვილებს. ეს იყო ბრწყინვალედ განათლებული და ძალიან ნიჭიერი ქალი: ფლობდა ხუთ უცხოურ ენას, მშვენივრად ხატავდა და ბოტანიკითა და მინერალოგიით იყო გატაცებული.

თავის ქალიშვილს, ელენე ანდრეის ასულს, შემდგომში ელენე პეტრეს ასულ ბლავატსკაიას დედას, თვითონ ზრდიდა და მას ლიტერატურის სიყვარული ჩაუნერგა: ელენე ანდრეის ასული წერდა მოთხრობებსა და რომანებს, და გასული საუკუნის 40-იან წლებში სწორედ მას უწოდა ვ.გ. ბელინსკიმ „რუსი ჟორჟ ზანდი“. ლიტერატურულ ნიჭს ფლობდა ასევე ელენე პეტრეს ასული ფადეევას ვაჟი, როსტისლავ ანდრეის ძე, რომელიც მე-19 საუკუნის 70-80-იან წლებში ცნობილი სამხედრო მწერალი იყო.

1842 წლიდან, დედის სიკვდილის შემდეგ, ელენე და მისი უმცროსი და ვერა ცხოვრობდნენ ბებიის, ელენე პეტრეს ასულ ფადეევას, ოჯახში, ჯერ სარატოვში, სადაც მათი პაპა გუბერნატორი იყო, შემდეგ კი ტიფლისში.

ჩვენთვის ცოტა რამ არის ცნობილი თეოსოფიური საზოგადოების მომავალი დამფუძნებლის ბავშვობის შესახებ. ამიტომ მივმართოთ იმ ადამიანთა მოწმობებს, რომლებიც იცნობდნენ ბლავატსკაიას ამ პერიოდში. აი რას წერდა 1877 წელს ერთ-ერთ წერილში ელენე პეტრეს ასულის ალალი დეიდა, ნადეჟდა ანდრეის ასული ფადეევა, რომელიც თავის დისწულზე მხოლოდ სამი წლით უფროსი იყო და მასთან ერთად იზრდებოდა: „ჩემი დისწული ელენე სრულიად განსაკუთრებული არსებაა, და მისი არავისთან შედარება არ შეიძლება. როგორც ბავშვი, როგორც ახალგაზრდა ქალი, ყოველთვის იმდენად მაღლა იდგა თავის გარემოცვასთან შედარებით, რომ შეუძლებელი იყო მისი ღირსეულად შეფასება. იგი აღზრდილი იყო როგორც ქალიშვილი კარგი ოჯახიდან, მაგრამ სწავლულობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მაგრამ მისი გონებრივი უნარის არაჩვეულებრივი სიმდიდრე, მისი აზრის სიმახვილე და სიჩქარე, გასაოცარი სიადვილე, რომლითაც ესმოდა, იტაცებდა და ითვისებდა ყველაზე უფრო ძნელ საგნებს, არაჩვეულებრივად განვითარებული გონება, რაინდულ, პირდაპირ, ენერგიულ და გახსნილ ხასიათთან შეერთებული – აი რა სწევდა მას ჩვეულებრივი ადამიანური საზოგადოების დონეზე მაღლა და რასაც არ შეიძლება არ გამოეწვია საერთო ყურადღება, შესაბამისად ასევე შური და მტრობა იმ ადამიანებისა, რომლებიც თავიანთ არარაობაში ვერ იტანდნენ ამ ჭეშმარიტად გასაოცარი ადამიანის ბრწყინვალებას და ნიჭს...

თავის სხვა წერილში ნადეჟდა ანდრეის ასული იხსენებდა: ადრეული ბავშვობიდანვე ის (ელენე) არ ჰგავდა სხვა ადამიანებს. სიცოცხლით სავსე და დიდი ნიჭით დაჯილდოებული, იუმორით და რაღაც შემაშინებელი გამბედაობით სავსე, იგი თვითნებობითა და მოქმედებების გაბედულებით არაჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ტოვებდა ნებისმიერ ადამიანში... შეუძლებელი იყო მისი მოჩვენებითი პატივისცემის გამოვლენით დამორჩილება, ან საზოგადოებრივი აზრით

დაშინება. იგი ცხენით დადიოდა თექვსმეტი წლის ასაკში, ათი წლის ასაკიდან დაწყებული, ნებისმიერი კაზაკური ცხენით მამაკაცის უნაგირით! ის არავის არაფერს ევედრებოდა, ისევე როგორც არ ემორჩილებოდა ცრურწმენებს ან ყოფაქცევის საზოგადოებრივ ნორმებს. იგი სადავოს ხდიდა ყველაფერს. როდესაც ის ბავშვი იყო, მისი მთელი სიმპათია და პატივისცემა დაბალი წოდების ადამიანებისკენ იყო მიმართული. ყოველთვის ამჯობინებდა თამაშს მსახურთა შვილებთან, და არა თავის ტოლებთან, და უფროსები იძულებულნი იყვნენ მუდამ თვალ-ყური ჭეროდათ ბავშვობაში, რომ სახლიდან არ გაქცეულიყო და ქუჩის ბიჭუნებს არ დამეგობრებოდა“.

ელენე პეტრეს ასულ ბლავატსკაიას ყოველივე იდუმალისკენ მისწრაფებაზე, ასეთი ასაკის ბავშვისთვის უჩვეულო შინაგან სამყაროზე ასევე ამბობს მისი და, ვერა პეტრეს ასული ჟელიხოვსკაია: „მან (ელენემ) ამოირჩია ეს საიდუმლო ადგილი (მიწისქვეშა გალერეები მამულში) როგორც... უსაფრთხო თავშესაფარი, სადაც მას შეეძლო მისთვის მიცემულ გაკვეთილებს გაქცეოდა. მისი საიდუმლოს გახსნამდე დიდმა დრომ განვლო... მან თავისთვის ძველი დამტვრეული სკამებისა და მაგიდებისგან კოშკი ააგო კუთხეში ფანჯრის ქვეშ რკინის ძელით, რომლის სიმაღლეც აკლდამის ჭერს სწვდებოდა. იქ ის საათობით იმალებოდა, და კითხულობდა წიგნს, რომელიც ცნობილი იყო როგორც „სოლომონის სიბრძნე“. ამ წიგნში გადმოცემული იყო სხვადასხვა სახის ჭკუის სასწავლებელი ლეგენდები. ერთჯერ თუ ორჯერ იგი ძლივს იპოვეს ამ ნესტიან მიწისქვეშა კორიდორებში, სადაც ძვრებოდა, რომ ვერ ეპოვათ, და მას ლაბირინთში გზა აებნა. იგი სულაც არ ყოფილა ამით თავგზააბნეული არ ნანობდა, რადგან, როგორც მან აგვიხსნა, იქ მარტოობაში არასოდეს ყოფილა, იმ არსებათა კამპანიაში იმყოფებოდა, რომლებსაც უწოდებდა თავის პატარა კუზიანებს, ამხანაგებს თამაშების დროს...

ჩემი დის ფანტაზიები, ანუ ის, რასაც ჩვენ მაშინ ვთვლიდით როგორც ფანტაზიებს, ადრეული ბავშვობიდანვე არაჩვეულებრივი ხერხით იქნა რეალიზებული. ხშირად ის საათობით მოგვითხრობდა ჩვენ, უმცროს ბავშვებს, წარმოუდგენელ ისტორიებს თვითმხილველის მტკიცე დაჯერებულობითა და რწმენით, რომელმაც იცის, რაზე ლაპარაკობს“.

როგორც ბლავატსკაიას ყველაზე უფრო ცნობილი ბიოგრაფი ე. პისარევა გვაცნობებს, ელენე პეტრეს ასულს ადრეული ბავშვობიდანვე კიდევ ერთი უნიკალური თავისებურება ახასიათებდა: იგი ხშირად ხედავდა თავის გვერდით თეთრჩალმიან დიდებულ ადამიანს – ინდუსს, რომელსაც თავის მფარველად თვლიდა. მრავალი წლის შემდეგ, 1851 წელს, როდესაც ლონდონში ინდოელ განდობილ მორიას შეხვდა, მასში ის ადამიანი იცნო, რომლის სახესაც ადრეული ბავშვობიდანვე ასე ხშირად ხედავდა.

ის ყველაფერი, რაც ჩვენთვის არის ცნობილი ბლავატსკაიას ბავშვობაზე და ახალგაზრდობაზე, ადასტურებს, რომ მას გარს ეხვია კეთილი და მოსიყვარულე ნათესავები, რომლებიც თუმც არ იზიარებდნენ მის გატაცებებს, მაგრამ მათ შემწყნარებლურად ეპყრობოდნენ და ელენეს ნოტაციებით თავს არ აწყენდნენ. მაგრამ ცხოვრება მშობლიურ სახლში ტვირთად აწვა ელენეს, რომელსაც სულით ესმოდა შორეული ძახილი და მგზნებარედ ისწრაფოდა სადღაც, იმედი ჰქონდა, რომ იპოვიდა პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებიც მას აწუხებდდა. მის სულიერ მზერას სულ უფრო ხშირად წარმოუდგებოდა თეთრჩალმიანი ფიგურა, რომელიც უფრო რეალურად და ახლობლად ეჩვენებოდა, ვიდრე მისი გარემომცველი ცოცხალი ადამიანები. გარდა ამისა, მისი ოჯახი მაღალ საზოგადოებას მიეკუთვნებოდა, რაც გარკვეული ვალდებულებებით ტვირთავდა ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელსაც საშინლად მობეზრდა მაღალი საზოგადოების პირობითობები და ზრდილობის წესები. სწორედ ამან

განსაზღვრა ბევრად ელენე პეტრეს ასულის უეცარი გადაწყვეტილება გათხოვილიყო მოხუც მოძულებულ ადამიანზე – გენერალ ნ.ვ. ბლავატსკიზე. ყოველგვარი ეჭვის გარეშე იგი არ თვლიდა ამ ქორწინებას ნამდვილად და ოჯახურ ცხოვრებას არ აპირებდა, მისთვის ეს იყო დიდიხნის ნანატრი თავისუფლების მიღება, რაც მისთვის გათხოვებამდე მიუწვდომელი იყო.

შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა, რომ ქორწინება იყო მხოლოდ საბაბი, რომელიც ბლავატსკაიას მშობლიური სახლის მიტოვების საშუალებას აძლევდა: ქორწილიდან სამი თვის შემდეგ ჩვიდმეტი წლის ასაკში იგი ქმარს გაექცა და შორეული ქვეყნებისკენ გაემართა. ეს მოხდა 1849 წლის გაზაფხულზე. მრავალ ქვეყანაში და კონტინენტზე მოგზაურობაში დიდმა დრომ განვლო: 1872 წლამდე იგი ერთი ადგილიდან მეორისკენ ხეტიალობდა, მას სულიერი სრულყოფის წყურვილი და სამყაროებრივ სიბრძნეზე ნატვრა დევნიდა.

ელენე პისარევა, ბლავატსკაიას მთავარი ბიოგრაფი და ცხოვრების მკვლევარი, ელენე პეტრეს ასულის ცხოვრებას სამ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ პერიოდად ყოფს. პირველი პერიოდის (1831 – 1849 წლის დასაწყისი) შესახებ ჩვენ უკვე მოვუყევით მკითხველებს. მეორე პერიოდი უწევს 1849-1872 წლებს.

ამრიგად, 1849 წლის დასაწყისში ბლავატსკაია სამოგზაურად მიდის თურქეთში, ეგვიპტეში და საბერძნეთში (ამ მოგზაურობისთვის საჭირო ფული მან მამისგან მიიღო).

როდესაც 1851 წელს ლონდონში აღმოჩნდა (ამის შესახებ ბლავატსკაია თავის ჩანაწერებში იტყობინება, იგი შემთხვევით, ქუჩაში, ხვდება თავის მასწავლებელს, იმას, ვისაც ბავშვობიდა თავის მფარველად თვლიდა – აღმოსავლეთის განდობილ მაჰატმა მორიას. აი რას ყვება ამ შეხვედრაზე გრაფის ასული კონსტანცია ვახმაისტერი, რომელიც კარგად იცნობდა ბლავატსკაიას მისი ცხოვრების ბოლო წლებში:

„...1851 წელს ლონდონში... ერთხელ, როდესაც ელენე სეირნობდა, თავისდა გასაოცრად, ქუჩაში დაინახა მაღალი ინდუსი რამდენიმე ინდუს პრინცთან ერთად. მასში უმალვე იცნო სწორედ ის ადამიანი, რომელსაც ასტრალურ ფორმაში ხედავდა. მისი პირველი იმპულსი იყო ის, რომ მიერბინა და დალაპარაკებოდა, მაგრამ ინდუსმა ანიშნა, რომ არ განძრეულიყო, და ელენე მოჯადოებულივით იდგა იქამდე, სანამ ინდუსმა გვერდზე არ ჩაუარა. მეორე დღეს ელენე სასეირნოდ გაიდ-პარკში წავიდა, სადაც უნდოდა მარტოობაში ყოფნა და თავის არაჩვეულებრივ თავგადასავალზე ეფიქრა. როდესაც მიმოიხედა, მან იგივე ფიგურა დაინახა, რომელიც მას უახლოვდებოდა, და შემდეგ მისმა მასწავლებელმა უთხრა მას, რომ ის ლონდონში ინდოელ პრინცებთან ერთად მნიშვნელოვანი მისიით ჩამოვიდა და რომ მასთან შეხვედრის სურვილი აქვს, რამდენადაც ელენეს თანამშრომლობა ესაჭიროება იმ სამუშაოში, რომლის განხორციელებასაც ის აპირებს. ამის შემდეგ მან ელენეს მოუყვა, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს თეოსოფიური საზოგადოება, და სურვილი გამოთქვა, რომ ელენე ამ საზოგადოების დამფუძნებელი გამხდარიყო. მან მოკლედ აუხსნა ყველა მცდარობები და დამახინჯებულობები, რომლებიც მას უნდა განეცადა, აგრეთვე მოუყვა იმის შესახებ, რომ ელენეს სამი წელი ტიბეტში უნდა გაეტარებინა იმისათვის, რომ ამ მნიშვნელოვანი ამოცანისთვის მომზადებულიყო... ელენემ გადაწყვიტა მიეღო ეს წინადადება, და ამის შემდეგ მალე ის ლონდონიდან ინდოეთში გაემგზავრა“.

იმავე 1851 წელს ბლავატსკაია ზღვით ამერიკის კონტინენტისკენ მიემართება, სადაც მომხიბლავ მოგზაურობას ახორციელებს ამერიკაში, მექსიკაში, სამხრეთ ამერიკასა და ვესტ-ინდოეთში, ამის შემდეგ კი კაპის კოლონიისა და ცეილონის გავლით 1852 წელს ინდოეთში. აქ ის ახორციელებს ტიბეტში მოხვედრის წარუმატებელ

მცდელობას. ამის შემდეგ ინგლისში ბრუნდება. 1854 წელს ელენე პეტრეს ასული კვლავ ამერიკაში მიემგზავრება.

მაგრამ უკვე 1855 წლის ბოლოს ტოვებს ამერიკას და კვლავ ინდოეთში მიემგზავრება. სწორედ ამჯერად აღწევს ის ტიბეტს და თავისი მასწავლებლის ხელმძღვანელობით სწავლებას გადის, თუმცა ეს აუცილებელი კურსის მხოლოდ ნაწილი იყო. 1858 წელს ის უკვე ევროპაშია – იყო საფრანგეთში და გერმანიაში და გვიან შემოდგომაზე ბრუნდება რუსეთში, თავის ნათესავებთან. აი ასე აღწერს ბლავატსკაიას დაბრუნებას რუსეთში მისი და, ვერა პეტრეს ასული ჟელიხოვსკაია:

„...ქალბატონი ბლავატსკაი რუსეთში 1858 წელს დაბრუნდა. დაბრუნების შემდეგ... ჯერ დასახლდა... ფსკოვში, სადაც... მე ვცხოვრობდი... ჩვენ არ ველოდით მის ჩამოსვლას, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს რამდენიმე კვირას, მაგრამ, რაც საინტერესოა, როგორც კი მე კარზე ზარის ხმა გავიგონე, წამოვხტი, ზუსტად ვიცოდი, რომ ეს ელენე იყო. ისე გამოვიდა, რომ ამ საღამოს ჩემი მამამთილის სახლში, სადაც მე ვცხოვრობდი, საღამოს წვეულება იყო. სწორედ იმ საღამოს მისი ქალიშვილის ქორწილი იყო, მაგიდას სტუმრები უსხდნენ, კარზე ზარი კი განუწყვეტლივ წკრიალებდა. და მაინც იმდენად ვიყავი დარწმუნებული, რომ სწორედ ელენე ჩამოვიდა, რომ, ყველას გასაკვირვებლად, აჩქარებულად მივატოვე სუფრა და კარის გასაღებად გავიქეცი, რომ მსახურებისთვის დამესწრო.

ჩვენ დიდი სიხარულით გადავეხვიეთ ერთმანეთს, და ერთი წამით დაგვავიწყდა ამ მოვლენის უცნაურობა. მაშინვე ჩემს ოთახში წავიყვანე და იმავე საღამოს დავრწმუნდი, რომ ჩემმა დამ უცნაური უნარი შეიძინა...

ძალიან მალე მთელი ქალაქი ალაპარაკდა ქალბატონ ბლავატსკაიას „სასწაულებზე“, რომლებიც მას გარს ეხვია. ეს უხილავი ძალები არა მარტო იძლეოდნენ პასუხებს აზრობრივ

შეკითხვებზე, არამედ ასევე წინასწარჭვრეტას ფლობდნენ, მოქმედებდნენ დღისით და ღამით ელენეს მხრიდან ყოველგვარი ხილული ჩარევის გარეშე მის გარშემო, და ცნობისმოყვარეთა გონებები გაოგნებისა და სასწაულის შეგრძნების მდგომარეობაში მოჰყავდათ უფრო მეტად, ვიდრე არაცოცხალი საგნების მოძრაობას, რომლებიც ცხადად იძენდნენ ან კარგავდნენ წონას, - და აი ასეთ ფენომენებს იწვევდა ის, როცა მზერას უბრალოდ შერჩეულ უბიექტზე აჩერებდა“.

1860 წლიდან 1865 წლამდე ელენე პეტრეს ასულმა ბლავატსკაიამ კავკასიაში გაატარა, ამასთან ამ დროს მან ძლიერი ფიზიკური და ფსიქიკური სტრესი გადაიტანა, იგი რამდენჯერმე სიკვდილის პირას იყო. მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა, და ამ დროიდან ელენე პეტრეს ასულს მთლიანად შეეძლო თავისი უჩვეულო უნარის მართვა.

როდესაც ძალები აღიდგინა, ბლავატსკაია ისევ დაემშვიდობა ნათესავებს და იტალიაში გაემგზავრა, გზად კი ბალკანეთს, ეგვიპტეს და სირიას ეწვია.

დადგა 1868 წელი. ელენე პეტრეს ასული ტიბეტში მიემგზავრება. დაახლოებით სამ წელიწადს ის მცირე ტიბეტში ატარებს, თავისი მასწავლებლის კუტ ჰუმის სახლში, და თავის საკანონობას აგრძელებს. 1870 წლის ბოლოს იგი ბრუნდება ევროპაში, საბერძნეთში. ამის შემდეგ მიემგზავრება ეგვიპტეში, რომელიც კინაღამ სიცოცხლედ დაუჯდა მას. აქ, კაიროში, სპირიტიზმის საზოგადოების შექმნის მცდელობას აკეთებს, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა, საზოგადოება მალე დაიშალა.

საზოგადოების (რომელიც იმისათვის იქმნებოდა, რომ როგორც ელენე გამოხატავდა, ეჩვენებინა განსხვავება „პასიურ მედიუმსა და აქტიურ შემქმნელს“ შორის) კრახით განაწყენებული ბლავატსკაია მალე სახლში გაემგზავრა პალესტინისა და სირიის გავლით და 1872 წლის ივნისში ოდესაში თავის ნათესავებთან ჩავიდა. მაგრამ უკვე 1873

წლის გაზაფხულზე, მისი თქმით, მან მასწავლებლისგან მიიღო მითითება პარიზში გამგზავრებულიყო, ამის შემდეგ კი მასწავლებლის ნების შესაბამისად ამერიკაში, ნიუ-იორკში აღმოჩნდა. ეს მოხდა 1873 წლის 7 ივლისს. ელენე პეტრეს ასულ ბლავატსკაიას ცხოვრებაში ახალი (მესამე, პისარევას განსაზღვრით) პერიოდი დაიწყო. ამ პერიოდის დაგვირგვინება გახდა თეოსოფიური საზოგადოების შექმნა და ისეთი წიგნების გამოჩენა, როგორიცაა „მხილებული იზიდა“ და „საიდუმლო დოქტრინა“.

ამერიკაში ყოფნის დასაწყისში ელენე პეტრეს ასული, როგორც მრავალნი თვლიდნენ, სპირიტიზმს მიემხრო, რომელიც გამარჯვებით მიემართებოდა ქვეყანაში. სინამდვილეში კი ელენეს მიზანი სხვა რამ იყო. „მე გამოგზავნილი ვიყავი, - წერდა ბლავატსკაია, - იმისათვის, რომ დამემტკიცებინა ეს ფენომენები და მათი რეალობა და სულების სპირიტუალისტური თეორიის მცდარობა მეჩვენებინა“.

სწორედ სპირიტუალური სეანსების დროს ვერმონტში ედის ფერმაში შეხვდა ბლავატსკაია პოლკოვნიკ ჰენრი სტილ ოლკოტს, ცნობილ ამერიკელ იურისტს, რომელიც მისი ერთგული თანამებრძოლი და მეგობარი გახდა. ოდნავ მოგვიანებით მან ირლანდიელი უილიამ კუან ჯაჯი გაიცნო. ამ ადამიანებს ბლავატსკაიასთან ერთად გადამწყვეტი როლის შესრულება ელოდათ თეოსოფიური საზოგადოების შექმნაში.

1875 წლის 17 ნოემბერი თეოსოფიური საზოგადოების დაფუძნების დღე გახდა.

„...თეოსოფიური საზოგადოების თავდაპირველად გაცხადებული მიზანი იყო ოკულტური მეცნიერებისა და ეზოტერიკული ფილოსოფიის შესწავლა თეორიაში და პრაქტიკულ გამოყენებაში, და ამ ფაქტების პოპულარიზაცია მთელ მსოფლიოში. პრეამბულაში ნათქვამია: „...დამფუძნებლებს იმედი აქვთ, რომ ძველი დროის ეზოტერიკულ ფილოსოფიაში შეღწევა უფრო ღრმად, ვიდრე

თანამედროვე მეცნიერების მიერ იყო დღემდე მიღწეული, იმის შესაძლებლობას მისცემს მათ, რომ მიიღონ თავიანთთვის და სხვა მკვლევარებისთვის უხილავი სამყაროს არსებობის მტკიცებულება, გაიგონ მისი მკვიდრების (თუ იქ ასეთები აღმოჩნდებიან) ბუნება და კანონები, რომლებიც მათ და კაცობრიობასთან მათ დამოკიდებულებას მართავს“.

რაღაც დროის გასვლის შემდეგ თეოსოფიური საზოგადოების მიზნები შემდეგი სახით იქნა ჩამოყალიბებული:

1. კაცობრიობის მსოფლიო საძმოს ბირთვის ჩამოყალიბება რასის, ეროვნების, სქესის, კასტის ან კანის ფერის განსხვავების გარეშე.

2. რელიგიის, ფილოსოფიისა და მეცნიერების შედარებითი შესწავლის წახალისება.

3. ბუნების უცნობი კანონებისა და ადამიანში დაფარული ძალების გამოკვლევა.

მაგრამ ბლავატსკაიას მოღვაწეობა არ შემოიფარგლებოდა თეოსოფიურ საზოგადოებაში მუშაობით, ამ დროისთვის მან უკვე „მხილებულ იზიდაზე“ დაიწყო მუშაობა. მისი ტიტანური ძალისხმევების მოწმე და ნებაყოფლობითი დამხმარე იყო ჰენრი ს. ოლკოტო. იგი წერდა:

„ელენემ წერილში მაცნობა, რომ ეს იქნებოდა წიგნი აღმოსავლეთის სკოლების ფილოსოფიის ისტორიაზე და თანამედროვე სკოლებთან მათ კავშირზე. მან დაამატა, რომ წერდა ისეთ საგნებზე, რომლებიც არასოდეს უსწავლია, და მოჰყავს ციტატები იმ წიგნებიდან, რომლებიც არასოდეს წაუკითხავს. და რომ ციტირების სიზუსტის შემოწმებისთვის პროფესორმა კორსონმა ელენეს წიგნი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არსებულ კლასიკურ ტექსტებს შეადარა და აღმოაჩინა, რომ ყველაფერი სავსებით სწორად არის ციტირებული.

ქალაქში დაბრუნების შემდეგ ელენე განსაკუთრებულ შრომისმოყვარეობას არ ავლენდა ამ საქმის მიმართ, ხელნაწერით დროდადრო იყო მხოლოდ დაკავებული... მაგრამ თეოსოფიური საზოგადოების შექმნის შემდეგ ერთი ან ორი თვის შემდეგ მასთან ერთად სასტუმროს ორი ნომერი ვიქირავეთ 34-ე სტრიტზე, მან მეორე სართულზე, მე კი მესამეზე, და იმ დროიდან „იზიდას“ ხელნაწერზე მუშაობა გრძელდებოდა შესვენების ან ყურადღების გადატანის გარეშე წიგნის დასრულებამდე 1887 წელს.

მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში მას მსგავსი ლიტერატურული შრომის მეათედიც კი არ შეუსრულებია, უფრო მეტიც, არ ვიცი არც ერთი ჟურნალისტი, ყოველდღე რომ წერს, რომლის შედარებაც შეიძლებოდა მასთან ამტანობისა და სამუშაო ენერგიის დაუშრეტელობის მხრივ. დილიდან საღამომდე ის საწერ მაგიდასთან იყო, და ჩვენ შორის ვინმე იშვიათად წვებოდა დასაძინებლად ღამის 2 საათზე უფრო ადრე. დღისით საქმეებზე უნდა გავსულიყავი, მაგრამ ყოველთვის ადრეული სადილის შემდეგ ყველანი ჩვენს დიდ საწერ მაგიდასთან ვსხდებოდით და ისე ვმუშაობდით, თითქოს ეს იყო სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, იქამდე, სანამ სხეულის დაღლილობა არ გვაიძულებდა, რომ შევჩერებულიყავით. როგორი მოგონებებია!..“

ეს იყო პირველი მცდელობა ძველი დროის ეზოტერიკულ სწავლებათა საიდუმლოსთვის ფარდის ახდისა, მათი ისტორიისა და გავრცელების თხრობისა, მაგიის ბუნების ახსნისა, ორთოდოქსალური მეცნიერების შეცდომებისა და მცდარობების შეხებისა.

წიგნი დაიბეჭდა 1877 წლის სექტემბერში. მისმა წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ამის შემდეგ მალე ელენე პეტრეს ასული პოლკოვნიკ ოლკოტთან ერთად ინდოეთში გაემგზავრა. 1879 წლის თებერვალში ბომბეიში მათ თეოსოფიური ორგანიზაციის შტაბ-ბინა დააარსეს. იქვე მოხდა

თეოსოფიის ბედისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი კიდევ ერთი მოვლენა: მათ გაიცნეს ალფრედ პერსი სანეტი, რედაქტორი სამთავრობო გაზეთისა „The Pioneer“. ოკულტური ფენომენების მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ეს ადამიანი ბლავატსკაიას ზეგავლენით თეოსოფიით დაინტერესდა და საბოლოო ჯამში ძალიან ბევრი რამ გააკეთა მისი გავრცელებისთვის, რასაც ხელი შეუწყო მის მიერ დაწერილმა წიგნებმა „ოკულტური სამყარო“ (1881) და „ეზოტერიკული ბუდიზმი“ (1883).

იქვე, ბომბეიში, 1879 წლის ოქტომბერში დაიწყო გამოცემა პირველი თეოსოფიური ჟურნალისა „The Theosophist“, რომელიც დღემდე არსებობს. მისი რედაქტორი გახდა ელენე პეტრეს ასული ბლავატსკაია.

1822 წლის გაზაფხულზე ინდოეთში ნაყიდი იქნა ადგილ-მამული ადიარში (მადრასის მახლობლად), სადაც წლის ბოლოს თეოსოფიური საზოგადოების შტაბ-ბინა გადასახლდა. ამ პერიოდში უზარმაზარი სამუშაო შესრულდა ინდოეთში ძველი სულიერი ლიტერატურისადმი ინტერესის აღორძინების საქმეში.

1884 წელს ელენე პეტრეს ასული იძულებულ იქნა ინდოეთი მიეტოვებინა და ევროპაში გამგზავრებულიყო, ვინაიდან მის ჯანმრთელობაზე უარყოფითად იმოქმედა ტროპიკულმა კლიმატმა. დაახლოებით ამავე დროს ადიარში სკანდალი გაჩაღდა ორი მოსამსახურის ალექსი და ემა კულომბოვის ცილისწამების გამო, რომლებიც ბლავატსკაიას დადანაშაულებას ცდილობდნენ თაღლითობაში. ამ მოვლენებმა აიძულა ბლავატსკაია მიეტოვებინა სამუშაო „სიდულო დოქტრინაზე“, რომელსაც იგი მთელ თავის დროს სწირავდა, და ინდოეთში დაბრუნებულიყო. მაგრამ თეოსოფიური საზოგადოების სხვა წევრები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ მას სასამართლოსთვის არ მიემართა. ბლავატსკაია დანებდა, თუმცა ინდოეთიდან სამუდამოდ გაემგზავრა. სამწუხაროდ, სწორედ

კულომბოვის ჩვენებების საფუძველზე ლონდონის ფსიქიკური კვლევის საზოგადოებამ (ფკს) გამოაქვეყნა მოხსენება, რომელშიაც ბლავატსკაია არაკეთილსინდისიერებაში დაადანაშაულა და ის დაახასიათა როგორც „ისტორიაში ერთ-ერთი უაღრესად სრულყოფილი, გენიალური და საინტერესო თაღლითი“. და დღემდე ფკს-ჰოჯონის ეს მოხსენება მოყვანილია როგორც ბლავატსკაიას თაღლითობისა და თეოსოფიის უსაფუძვლობის მტკიცებულება.

ამ მოვლენას ელენე პეტრეს ასული მძიმედ განიცდიდა, თუმცა მუშაობას არ წყვეტდა თავისი ცხოვრების მთავარ შრომაზე - „საიდუმლო დოქტრინაზე“. როდესაც ინდოეთიდან ჩამოვიდა, იგი ჯერ ცხოვრობდა იტალიაში, შემდეგ – გერმანიში და ბელგიაში, 1887 წლის მაისში კი ლონდონში გადასახლდა, სადაც ის ინგლისელმა თეოსოფებმა მიიწვიეს.

ბლავატსკაიას ენერგიულმა ბუნებამ იმის ნება არ მისცა მას, რომ ლიტერატურული შრომით შემოფარგლულიყო, თუმცა წიგნის შექმნა წარმოუდგენელ ძალისხმევას მოითხოვდა. ელენე პეტრეს ასული აქტიურ მუშაობას ეწეოდა ინგლისელ თეოსოფებს შორის, მან შექმნა ახალი თეოსოფიური ჟურნალი „Lucifer“ (1888), აგრეთვე 1888 წლის შემოდგომაზე თეოსოფიურ საზოგადოებაში ჩამოაყალიბა ეზოტერიკული განყოფილება (ანუ სკოლა) ეზოტერიკული ფილოსოფიის უფრო სრულად შესწავლის მსურველებისთვის.

ბოლოს 1888 წლის ოქტომბერ-დეკემბერში „საიდუმლო დოქტრინა“ გამოქვეყნებულ იქნა. წინასიტყვაობაში ბლავატსკაია წერდა: „სიბრძნის რელიგია არის მთელი მსოფლიოს მემკვიდრეობა...“ თანამედროვეთათვის მის შესახებ თხრობას ბლავატსკაია თავისი ცხოვრების მთავარ ამოცანად თვლიდა.

მომდევნო 1889 წელს გამოვიდა „თეოსოფიის გასაღები“ - „ეთიკის, მეცნიერებისა და ფილოსოფიის ნათელი წარმოდგენა (კითხვა-პასუხების სახით), რომელთა შესწავლისთვისაც იქნა

ჩამოყალიბებული თეოსოფიური საზოგადოება“, - წერდა ელენე პეტრეს ასული. ეს იყო „საიდუმლო დოქტრინის“ ერთგვარი დანართი.

ბლავატსკაიას უკანასკნელი ნაწარმოები გახდა მისტიკური წიგნი „მდუმარების ხმა“. ეს წიგნიც იმავე 1889 წელს გამოიცა.

1890 წელს ელენე პეტრეს ასულმა შექმნა თეოსოფიური საზოგადოების ევროპის შტაბ-ბინა. ამ დროს ბლავატსკაიას სახლში თეოსოფიურ საღამოებზე ანა ბეზანტიც გამოჩნდა, რომელიც ბლავატსკაის ერთგული თანამებრძოლი გახდა და ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ თეოსოფიურ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში.

ელენე პეტრეს ასული ბლავატსკაია გარდაიცვალა 1891 წლის 8 მაისს ლონდონში. მის სამახსოვროდ ამ დღეს მსოფლიოს ყველა თეოსოფი პატივს სცემს როგორც თეთრი ლოტოსის დღეს.

100 წლის შემდეგ კაცობრიობამ აღიარა ელენე პეტრეს ასულ ბლავატსკაიას დამსახურებები – 1991 წელი იუნესკოს მიერ ბლავატსკაიას წლად გამოცხადდა. გვრჩება მხოლოდ ციტირება მაჰატმების ერთ-ერთი წერილისა, რომელიც ელენე პეტრეს ასულს მიეძღვნა:

„...თქვენ ვერასოდეს შეიცნობთ მას ისეთს, როგორსაც ჩვენ ვიცნობდით, და ამიტომ ვერასოდეს განსჯით მას სამართლიანად და მიუკერძოებლად. თქვენ მხოლოდ საგანთა ზედაპირს აკვირდებით... თქვენს თვალში ბლავატსკაია, უკეთეს შემთხვევაში, იმათთვის, ვისაც უყვარს იგი თავისი თავის საწინააღმდეგოდ, - ეს უცნაური, საუცხოო ქალი, ფსიქოლოგიური თავსატეხია; იმპულსური და გულკეთილი, მაგრამ მაინც მანკიერებების მქონეც. ჩვენ, მეორე მხრივ, ექსცენტრულობისა და მასხარაობის საფარვლის ქვეშ, მის შინაგან „**მე**“-ში ვპოულობთ სიბრძნეს უფრო ღრმას, ვიდრე თქვენ თვითონ როდისმე შეძლებთ მის აღქმას...“